ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

20 იანვრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი. ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად - 5 ლარი




პარასკევი, 22 იანვარი, 2016 №17 (6943) ფასი: 50 თეთრი

# „ბესო ხარძიანი ოლექსანდრ დამეტოვმა მოკლა“

## პროკურატურამ ბესო ხარძიანის მკვლელობა გახსნა



გვ.2



ნატო უდესიანი: „გია უდესიანი უდანაშაულოა“




ოლექსანდრ დამეტოვი




ოლეგ დოევი

# თამაზ მეჭიაურმა არტურ არუთინოვს ხელი გაარტყა?

## „რომელი რემბო მე მნახეთ!“



გვ.2



## რესპუბლიკელები კოალიციის გაფართოების წინააღმდეგი არიან



გვ.3

# ახალი დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ივანიშვილის გარეშე კოალიციას ბარიერის გადალახვაც კი გაუჭირდება“



გვ.4



გვ.4




## „გაზპრომთან საიდუმლო მოლაპარაკება აშშ-მ და ევროკავშირმა ჩაშალეს“

## დემურ გიორხელიძე: „ფინანსური ვითარება შეიძლება გაუარესდეს“

გვ.3





ISSN 1987-9385

ოპოზიცია დღეს ერთდროულად ჭრელიც არის და სუსტიც



# თამაზ მექიაურმა არტურ არუთინოვს ხელი გაარტყა?

გულიკო ბალაძე



დეპუტატი თამაზ მეჭიაური აშკარად შარში გაეხვია.

გუშინ, 21 იანვარს, პარლამენტის შესასვლელთან მოსულ მეჭიაურს სასტვენების გამაყრუებელი სტვენითა და შეძახილებით აქციის მონაწილეები შემოერტყნენ.

აქცია მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის საწინააღმდეგოდ გაიმართა.

დეპუტატმა მათ კი დააღწია თავი, მაგრამ სკანდალს – ვერა.

ერთ-ერთი მონაწილის, არტურ არუთინოვის მტკიცებით, თამაზ მეჭიაურმა მას ხელი დაარტყა.

ეს მომენტი არავის დაუნახავს. არუთინოვი განუწყვეტლივ ეკითხებოდა საპატრულო პოლიციის თანამშრომელს, რატომ დამარტყაო, პოლიციელი კი სთხოვდა, დალაგებულად მოეყოლა პოლიციისთვის, რაც მოხდა.

აქციის მონაწილეებს თავდაღწეულ დეპუტატს პარლამენტში შევყევით.

თამაზ მეჭიაური აცხადებს, რომ ხელი არავისთვის დაურტყამს.

– რომელი რემბო მე მნახეთ. გგონიათ, ამხელა აქციას ხელით მარტო მოვერეოდი? საჭეც არავის ეკავა და რა უნდოდათ, ისიც არ ვიცი, – განუცხადა ჟურნალისტებს თამაზ მეჭიაურმა.

* * *

კომპანია „ჯიმექსის" წარმომადგენელ ნინო აბაშიძის განცხადებით, მოსახლეობის ნაწილი ვერ შეძლებს მეორადი ავტომობილების შეძენას, ხოლო ტარიფები, რომლებიც ამ პროექტით ამოქმედდება, საკმაოდ მაღალია. განბაჟების ტარიფი 500%-ით იზრდება, რაც მეორადი მანქანის შეძენას შეუძლებელს ხდის.

***– პრემიერმა განაცხადა, რომ აღნიშნული კანონპროექტი არ შეეხება იმ პირებს, რომლებსაც უკვე შეძენილი აქვთ მარჯვენასაჭიანი მანქანები.***

– ძალიან ბუნდოვანი განცხადება გაკეთდა. თარიღები გაურკვეველია, რაც სამუშაო პროცესსა და გაყიდვებს აფერხებს. ის ძალიან დიდ ზარალს აყენებს თითოეულ კომპანიას. ვინაიდან მოსახლეობა გაურკვევლობაშია, დროებით არ ყიდულობს მანქანას. ამას დამატებით ხელს უწყობს დოლარის კურსის მატება. შესაბამისად, გაყიდვები გაჩერდა.

***– მანქანების იმპორტი შეჩერებულია?***

– ჯერჯერობით იმპორტი ხორციელდება, თუმცა არ ვიცით, როდემდე შეგვეძლება იმპორტის განხორციელება. რა გველოდება, ჩვენთვის არავის განუმარტავს, მათ შორის, არც ბიზნესომბუდსმენს გაუკეთებია რაიმე განცხადება. ვართ გაურკვეველ ვითარებაში.

***– კონტრაქტები რამდენი ხნით გაქვთ დადებული იაპონურ მხარესთან?***

– მე, პირადად, წარმოვადგენ ექსპორტიორ კომპანიას საქართველოში, კომპანია „ჯიმექსს". ჩვენ გვაქვს ერთწლიანი კონტრაქტები სხვა კომპანიებთან. ვალდებულებები და კრედიტები გვაქვს აღებული. რატომღაც არავინ ფიქრობს, ამ კრედიტებს რა ეშველება. რუსთავის ბაზრობაზე ათასობით დილერს ვესაუბრე. მათ განაცხადეს, რომ სხვა შემოსავლის წყარო

## „რომელი რემბო მე მნახეთ!"

არ გააჩნიათ, გარდა ამ საქმიანობისა. მათ რა ეშველებათ, მათ ოჯახებს რა ეშველებათ? ამ ადამიანებზე არავინ ფიქრობს.

* * *



აქციაზე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ნიკა მელიაც იმყოფებოდა თავის მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად. ისინი მარჯვენასაჭიანთა პროტესტს შეუერთდნენ.

ნიკა მელიას განცხადებით, ამგვარი კანონის მიღებას სჯობს, შეჩერებული პროექტები დაასრულონ.

– მთავრობა ამბობს, თუ ამ კანონს მივიღებთ, თბილისში საცობები აღარ იქნებაო. თუ ამ მთავრობას საცობები აწუხებს, ის შეჩერებული პროექტები უნდა დაესრულებინა, როგორებიცაა შემოვლითი რკინიგზა, ვეფხვისა და და მოყმის ხიდი და სხვა ესტაკადები, პარკინგები და რეაბილიტაციას დაქვემდებარებული, მთელი წლით დაკეტილი ხიდები, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მისი თქმით, მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვა უმუშევრობის კიდევ უფრო ზრდასა და ამ ბიზნესით დაკავებული ხალხის შემოსავლის დაკარგვას გამოიწვევს.

– ამიტომ ხელისუფლება გონს უნდა მოვიდეს და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, – განაცხადა ნიკა მელიამ.

* * *

იმ დროს, როდესაც ქუჩაში აქცია მიმდინარეობდა, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი დეპუტატებს საკანონმდებლო პაკეტს აცნობდა. მისი თქმით, ცვლილებები შედის როგორც საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონში, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

ცვლილებების მიხედვით, მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი ავტომობილების რეგისტრაცია იკრძალება. მართვის მოწმობაზე შემოდის ქულათა სისტემა. აქციზის გადასახადი იზრდება 9 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის. ცვლილებებია ჯარიმების კუთხითაც.

ავტომობილის მართვისას ტელეფონზე საუბრისთვის მძღოლი, 10 ლარის ნაცვლად, 30 ლარით დაჯარიმდება.

შს მინისტრის მოადგილის განცხადებით, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად წელიწადში საშუალოდ 600-მდე ადამიანი იღუპება.

– ამ მაჩვენებლებით ერთ-ერთ მოწინავე რიგებში ვართ. ამ მხრივ ძალიან ჩამოვრჩებით ევროპულ ქვეყნებს, – განაცხადა მან.

მინისტრის მოადგილის თქმით, საგზაო მოძრაობისას დაღუპულთა კუთხით ჩვენზე წინ არიან მხოლოდ რუსეთის ფედერაცია და სომხეთი.

– ამას ემატება სხვადასხვა რისკი. მათ შორის არის ქაოსური მოძრაობა, რაც უარყოფითად აისახება ტურისტულ, ტრანზიტულ პოტენციალზე. მხოლოდ თბილისის მასშტაბით, დასახიჩრებულ პირებზე მთავრობა დაახლოებით 10 მილიონამდე ლარს ხარჯავს, – განაცხადა შალვა ხუციშვილმა.



მარჯვენასაჭიანებმა პარლამენტთან აქცია გამართეს

# „ბესო ხარძიანი ოლექსანდრ დამეტოვმა მოკლა"

## ხარძიანის ოჯახი მკვლელობის მოტივად გია უდესიანის ფაქტორს ასახელებს

მთავარმა პროკურატურამ ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმე გახსნა.

როგორც უწყებაში გუშინ, 21 იანვარს, გამართულ საგანგებო ბრიფინგზე აღინიშნა, ხარძიანის მკვლელობაში მხილებულნი არიან: უკრაინის მოქალაქე, 1985 წლის 29 მაისს დაბადებული ოლექსანდრ დამეტოვი და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1973 წლის 4 სექტემბერს დაბადებული ოლეგ დოევი.



ოლექსანდრ დამეტოვი

პროკურატურის განცხადებით, საქმეზე მიმდინარე გამოძიების პროცესში ამოღებულ იქნა დეტალური ინფორმაცია საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების კუთვნილ 154 სატელეფონო ანძაზე გამოძიებისათვის საინტერესო პერიოდში დაფიქსირებული შემავალი და გამავალი ზარების შესახებ.

საგამოძიებო ჯგუფის მიერ დამუშავებულ იქნა ხსენებულ ანძებზე დაფიქსირებული 26.173.614 ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება და ინტერნეტაქტივობა. გამოძიების პროცესში ასევე ამოღებულ და გამოკვლეულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის დედაქალაქში განთავსებული საჯარო და კერძო დაწესებულებების კუთვნილი გარე მეთვალყურეობის კამერების ჩანაწერები, რომელთა საერთო ხანგრძლივობა 4.900 საათს აღემატება.

გარდა ამისა, დაიკითხა ათეულობით თვითმხილველი და გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციის მქონე მოწმე, ჩატარდა დამნაშავე პირთა ამოცნობები, სასამართლო-სამედიცინო, ტექნიკური, ბიოლოგიური, ქიმიური, ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპიური, ბალისტიკური ექსპერტიზები.

მკვლელობის დღეს, 2015 წლის 28 მარტს, 10:32 წუთზე, ოლექსანდრ დამეტოვმა მოპედით მოძრაობა დაიწყო კოსტავასა და სულაკაურის ქუჩების კვეთაზე მდებარე „ხალიკ ბანკის" მიმდებარე ტერიტორიიდან, ვარაზის ხევის გავლით ავიდა მელიქიშვილის გამზირზე სასტუმრო „საქართველოსთან" და თარხნიშვილის, ბარნოვისა და შატბერაშვილის ქუჩების გავლით გაემართა მარაბდის ქუჩაზე მდებარე ბესარიონ ხარძიანის საცხოვრებელი სახლისაკენ, სადაც დაყოვნდა რამდენიმე წამით, შემდეგ დატოვა აღნიშნული ადგილი და მომდევნო ერთი საათის განმავლობაში მოძრაობდა მარაბდის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზე.



ოლეგ დოევი

იმავე დღეს, 12:20 საათზე, ბესარიონ ხარძიანი საკუთარი ავტომანქანით გამოვიდა საცხოვრებელი სახლიდან და მივიდა საქმიან შეხვედრაზე მელიქიშვილის გამზირზე მდებარე სასტუმრო „საქართველოში".

შეხვედრის მიმდინარეობის პერიოდში ოლექსანდრ დამეტოვი მოპედით მოძრაობდა ბესარიონ ხარძიანის საცხოვრებელი სახლისა და სასტუმრო „საქართველოს" მიმდებარე ტერიტორიებზე.

ხარძიანმა სასტუმრო „საქართველოს" მიმდებარე ტერიტორია დატოვა 13:43 საათზე და თარხნიშვილის ქუჩის გავლით გაემართა საკუთარი საცხოვრებელი სახლისაკენ.

ბარნოვის ქუჩაზე არსებულ გარე მეთვალყურეობის ვიდეოკამერებზე დაფიქსირებულია, თუ როგორ მიჰყვება მოპედით დამეტოვი ბესარიონ ხარძიანის ავტომანქანას.

მარაბდის ქუჩა 25-ში ავტომანქანიდან გადმოსული ბესარიონ ხარძიანი შევიდა საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, სადაც მას შეჰყვა ოლექსანდრ დამეტოვი და მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღით ბესარიონ ხარძიანის მიმართულებით განახორციელა სამი გასროლა, რითაც ბესარიონ ხარძიანს მიაყენა სამი შემავალი ცეცხლნასროლი ჭრილობა, მათ შორის ერთი საკონტროლო, თავის არეში.

მკვლელობის შემდეგ დამეტოვი მოპედის მეშვეობით მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. მოპედი და ჩაფხუტი დატოვა კეკელიძის ქ. 23-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსის ეზოში მდებარე ერთ-ერთ ავტოფარეხთან, რუხი ფერის ნაჭრის ქუდი შემოაგდო ავტოფარეხის სახურავზე, შემდეგ კი გააჩერა ტაქსი და გაემართა რკინიგზის სადგურის მიმართულებით.

გზაში, თამარ მეფის ხიდთან, მან ტაქსის მძღოლს მოსთხოვა გაჩერება, გადაუხადა მგზავრობის საფასური, გადმოვიდა ავტომანქანიდან, თამარ მეფის ხიდიდან მდინარე მტკვარში გადააგდო დანაშაულის ჩადენის იარაღი – „მაკაროვის" სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი, რომელიც ნაპოვნი და ამოღებულ იქნა გამოძიების მიერ.

ამის შემდეგ ოლექსანდრ დამეტოვმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმართულებით ჩაირბინა თამარ მეფის ხიდთან არსებული კიბეები, კვალის არევის მიზნით შემოიბრუნა ორმხრივი, ორფეროვანი ქურთუკი და ჩაჯდა მერსედეს ბენც ე კლასის მარკის ტაქსში, რაც დაფიქსირებულ იქნა აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამერებით.

ხსენებული ტაქსით თამარ მეფის ხიდისა და გმირთა მოედნის გავლით დამეტოვი გადაადგილდა კოსტავას გამზირის მიმართულებით, ჩამოვიდა „ხალიკ ბანკთან" და ფეხით გაემართა ნაქირავები ბინისაკენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დემურ გიორხელიძე: „ფინანსური ვითარება შეიძლება გაუარესდეს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **დემურ გიორხელიძე** აფასებს.

***– ბატონო დემურ, ლარმა კვლავ განაგრძო გაუფასურება. ზოგიერთი ექსპერტი გამოთქვამს ეჭვს, რომ ქადაგიძე წასვლამდე სიტუაციას გააფუჭებს. თქვენ რამდენად უშვებთ ამას?***

– არსებობს ფუნდამენტური ფაქტორები და არსებობს ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკა. ამ შემთხვევაში დომინირებულია სწორედ ის ფაქტორები, რომლებიც ზეწოლას ახდენს ლარის კურსზე. ეს არის ის საყოველთაო პროცესი, რომელიც ყველგან მიდის. ამას ემატება სწორედ არასწორი საშინაო პოლიტიკა.

***– ვერც ახალმა პრემიერმა უშველა შექმნილ სიტუაციას?***

– იგი ასე მოკლე დროში ვერ შეცვლიდა სიტუაციას, თუმცა ის მონახაზი, რაც მან წარმოადგინა, სწორია და ახლა მთავარია, ის რეალიზებულ იქნეს. ეროვნული ბანკის პრობლემა კი არსებობს და ეს პროცესი ასე მარტივად არ დასრულდება.

***– მარტივად არდასრულებაში რას გულისხმობთ?***

– იმას ვგულისხმობ, რომ თებერვლის ბოლომდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და საგარეო ფაქტორები არაფრით გაუმჯობესდება, ამდენად, სიტუაცია შესაძლოა უფრო უარესიც გახდეს.



***– საარჩევნო წელია და საზოგადოება შიშის თვალით შეჰყურებს მოსალოდნელ პროცესებს. ელით სიტუაციის გაუარესებას?***

– საქართველოში ყოველთვის არსებობს დესტაბილიზაციის საფრთხე. 2016 წლის არჩევნები იქნება დაძაბულობისა და გაურკვევლობის მოლოდინის პერიოდი. განსაკუთრებული, რადიკალური რეფორმები ვერ გატარდება, მთავარია, გავიაროთ არჩევნები ისე, რომ რაიმე ექსცესები არ მოხდეს, თუმცა ამის გარანტია არ არსებობს.

***– აქვს ქადაგიძეს იმის ბერკეტები, რომ წასვლამდე გააფუჭოს სიტუაცია?***

– ქადაგიძე კარგა ხანია აფუჭებს საქმეს. დიდი ბერკეტები მას აღარ აქვს, ახლა სიტუაციაა თვითონ ცუდი და ამას ქადაგიძეც ვერაფერს უშველის. ამას სჭირდება მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი მოქმედება. საჭიროა, რომ ხელისუფლება დამტკიცებული მაკროეკონომიკის პროგრამის ფარგლებში მოქმედებდეს. კრიზისიდან გამოსვლის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი პროგრამა უნდა არსებობდეს. ჯერჯერობით ასეთი რამ არ არსებობს.

***– პრეზიდენტის პრეროგატივაა, დაამტკიცოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ვის კანდიდატურას შემოგვთავაზებს, ამას თუ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ეროვნული ბანკი ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუციაა ქვეყანაში და მას პროფესიონალი და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი სჭირდება, რომელიც არა პოლიტიკის, არამედ წმინდა ფინანსური მოთხოვნებიდან გამომდინარე გამოდის.

***– თუ გავითვალისწინებთ მთავრობასა და პრეზიდენტს შორის არსებულ დაძაბულ ფონს, „ოცნების“ წიაღიდან არ უნდა იყოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.***

– მე არა მგონია, რომ ახლა პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის რაიმე დაძაბულობა არსებობდეს. გიორგი კვირიკაშვილი არ წარმოადგენს კონფრონტაციულ ფიგურას, ის მაღალი შინაგანი კულტურის მქონე ადამიანია. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ. მისგან კონფრონტაციას არ უნდა ველოდოთ. იმედია, პრეზიდენტსაც ეყოფა პასუხისმგებლობა, რომ პოლიტიკური ზეგავლენების ქვეშ არ მოექცეს და ამ მნიშვნელოვან ფონზე კონტროლირებადი ფიგურა არ აღმოჩნდეს. აქ მთავარია პროფესიული მხარე. ეს არის ყველაზე სუსტი ადგილი დღევანდელ სიტუაციაში.

***– ანუ წინა პრეზიდენტის პიროვნულობიდან და მისი ხასიათიდან გამომდინარეობდა ეს დაძაბულობა?***

– დიახ. ის საკმაოდ ხისტი ბუნების ადამიანი იყო.

***– რამდენად უნდა ველოდეთ ვითარების გაუარესებას, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც, აზერბაიჯანში, უკრაინაში, რუსეთში, ვალუტის გაუარესების თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაა?***

– ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ მთავრობა რამდენად ენერგიულად იმოქმედებს. დღეს ყველა ის ობიექტური ნეგატიური გარე მოვლენები უნდა გაწონასწორდეს მძლავრი საშინაო პოლიტიკით და ეს არ ეხება მხოლოდ ეკონომიკას. აქ საჭიროა სტიმულები, რომ ადამიანების ეკონომიკური აქტივობა მაღალი გახდეს, ფინანსები – ხელმისაწვდომი და ადამიანებმა საქმიანობა დაიწყონ.

# ახალი დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

## რესპუბლიკელები კოალიციის გაფართოების წინააღმდეგი არიან

შორენა მარსაგიშვილი

თავის დროზე, ალბათ, შინდლერს არ გასჭირვებია თავისი სიის შედგენა ისე, როგორც ახლა ბიძინა ივანიშვილს უჭირს საარჩევნო სიის შედგენა. მმართველ გუნდში უკვე ღიად ალაპარაკდნენ არსებულ დაპირისპირებაზე. კოალიციაში შემავალი პარტიები საარჩევნო სიაში კვოტების გადანაწილებას ითხოვენ.

ყველაზე დიდი მადა, როგორც მოსალოდნელი იყო, რესპუბლიკელებმა გამოავლინეს. კოალიციაში ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ისინი საარჩევნო სიაში 15 გამსვლელ ადგილსა და მინისტრთა კაბინეტში 5 ადგილს ითხოვენ.

დღეს მათ მთავრობაში 3 პოსტი უკავიათ. ისინი კიდევ 2 ადგილს ითხოვენ. ესაა შს და განათლების სამინისტროები.

რესპუბლიკელებს სხვა მოთხოვნებიც აქვთ.

კოალიციის ლიდერები ოფიციალურად აცხადებენ, რომ მათ კიდევ 2 პარტია დაემატებათ. ეს იქნება მწვანეთა პარტია და სოციალ-დემოკრატები.

კოალიციის სხვა ლიდერებისგან განსხვავებით, რესპუბლიკელები გაფართოების წინააღმდეგი არიან. ამის შესახებ პოზიცია პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა დააფიქსირა.

დეპუტატი ამბობს, რომ ეს მხოლოდ მისი პოზიციაა და საბოლოო გადაწყვეტილება პოლიტსაბჭომ უნდა მიიღოს.

– იცით მეორე პირი მწვანეებში?! თუკი კოალიცია გადაწყვეტს, გაფართოვდეს, მათ შორის ისეთი პარტიებით, რომელთა მეორე და მესამე პირებს მე არ ვიცნობ, კი ბატონო, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება იქნება და მე ამის წინააღმდეგ ვერ ვიქნები. პირადად მე რომ მკითხოთ, ასეთი გაფართოების მომხრე არ ვარ, მაგრამ, როგორც კოალიცია გადაწყვეტს...

პირადად მე ჩემს პარტიაში პირველი და მეორე კი არა,



36-ე კაცი ვიცი. ვიცი 37-ეც და 105-ეც. ყველას რეიტინგი, ვინც კენჭს იყრიდა, ზეპირად ვიცით. პირადად მე დაინტერესებული ვარ, ქვეყანაში იყოს ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტია. თუკი გია ჟორჟოლიანს აქვს შანსი, ასეთი პარტია ჩამოაყალიბოს და ავანსად კოალიციის წევრობა სჭირდება, ეს ამბავი უნდა განვიხილოთ, – განუცხადა ინტერპრესნიუსს ბერძენიშვილმა.

რესპუბლიკელები რომ მწვანეთა პარტიას არ სწყალობენ, ეს პარლამენტში ყველამ



იცის. „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, რომ თავის დროზე გია გაჩეჩილაძის გარემოს დაცვის მინისტრად წარდგენა სწორედ რესპუბლიკელებმა ჩაშალეს.

ლევან ბერძენიშვილის განცხადებამ სოციალ-დემოკრატები გააღიზიანა. პარტიის ლიდერმა გია ჟორჟოლიანმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მისმა კოლეგამ ნაჩქარევი შეფასება გააკეთა.

– ჯობდა, ბატონ ლევანს უფრო კორექტული და აწონილ-დაწონილი კომენტარი გაეკეთებინა. მას, რა თქმა უნდა, აქვს უფლება, თავისი მოსაზრება ჰქონდეს, მაგრამ ხელაღებით რამის მტკიცებას ანალიზის გაკეთება სჯობია, – აღნიშნავს გია ჟორჟოლიანი.

მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, ამის მიუხედავად, ამბობს, რომ სოცდეკები პარტია „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობას აპირებენ.

დეპუტატის განმარტებით, ისინი ისედაც ინტენსიურად თანამშრომლობენ.

– ჩვენ ძირითად და იდეურ საკითხებზე ვთანამშრომლობთ და რაღაც კვოტებსა და ადგილებს არ ვითხოვთ, – აღნიშნავს ჟორჟოლიანი.

მისი განცხადებით, 2016 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ბლოკის ფორმირება სულ სხვა პრინციპით უნდა მოხდეს.

– 2012 წელს ქვეყანაში სხვა ვითარება იყო. ეს არჩევნები კი არა, ფართო ფრონტი იყო, სადაც გაერთიანდნენ დემოკრატიული ძალები და მაშინ არსებულ რეჟიმს დაუპირისპირდნენ. მართალია, საბოლოოდ ამ რეჟიმის დემონტაჟი ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ბევრ სფეროში დემოკრატია დამკვიდრდა. ეს არის კარგი წინაპირობა იმისთვის, რომ ამ პროცესში ყველა ჩაერთოს. პროცესებში მხოლოდ ის პარტიები არ უნდა მონაწილეობდნენ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მთავარ ძალას წარმოადგენენ, – ამბობს დეპუტატი.

მისი განცხადებით, ახლა საარჩევნო ბლოკი იდეების გარშემო გაერთიანდება.

– დისკუსიები, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს ერთიან ხედვაზე დაფუძნებული ერთობა უნდა იყოს. ვიწრო და კერძო ინტერესები ყველამ გვერდზე უნდა გადავდოთ და ერთიანად განვახორციელოთ არსებული ხედვები. ისე აღარ უნდა იყოს. რომ ვიღაცები თან ხელისუფლებაში იყვნენ და თან ოპოზიციურ განცხადებებს აკეთებდნენ, – განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.

# „ბესო ხარძიანი ოლექსანდრ დამეტოვმა მოკლა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

იმავე დღეს, ბინიდან მათი მოულოდნელი წასვლის მოტივით, დამეტოვი დაუკავშირდა ბინის მეპატრონეს და სასწრაფოდ თანამზრახველთან ერთად დატოვა ნაქირავები ბინა.

დაახლოებით 15-16 საათისთვის ოლექსანდრ დამეტოვი და ოლეგ დოევი პეკინის გამზირზე ჩასხდნენ „ფოლკსვაგენ ვენტოს“ მარკის ტაქსში და გაემართნენ ორთაჭალაში მდებარე ავტოსადგურის მიმართულებით, სადაც იქირავეს მერსედეს ბენც ეს კლასის მარკის ტაქსი და გაემგზავრნენ სარფში.

იმავე დღეს, მკვლელობიდან რამდენიმე საათში, დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე, ოლექსანდრ დამეტოვმა და ოლეგ დოევმა სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით ფეხით გადაკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და მიიმალნენ.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობის ჩადენიდან რამდენიმე დღეში გამოძიებისათვის უკვე ცნობილი იყო დამნაშავე პირთა ვინაობა, იმის გამო, რომ გამოძიებას ხელი არ შეშლოდა მტკიცებულებების მოპოვებაში, დანაშაულის რეალური გარემოებების დადგენასა და ძებნილ პირთა მიმართ წარმოებულ დაკავების ღონისძიებების გატარებაში, პროკურატურის მიერ არ გასაჯაროვდა საქმის დეტალები,

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე მკვლელობაში ბრალდებულ პირთა მიმართ გამოძიება დასრულებულია, ამოიწურა წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადა და საქმე არსებითად განსახილველად გადაეგზავნა სასამართლოს, პროკურატურას მიზანშეწონილად მიაჩნია, გაასაჯაროოს გამოძიების შედეგები, ვინაიდან საქმეზე სასამართლოში უნდა დაიწყოს არსებითი განხილვა, რაც საჯაროა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

რაც შეეხება ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში მონაწილე სხვა პირებს, მათი მხილების მიზნით გრძელდება ინტენსიური გამოძიება, ხოლო ძებნილ პირთა ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით ტარდება შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

* * *

გუშინვე ბესო ხარძიანის ოჯახის ადვოკატმა მალხაზ სალაყაიამ პროკურატურის განცხადებაზე კომენტარი გააკეთა.

– პროკურატურა ხარძიანის მკვლელობის საქმეზე უნაკლოდ მუშაობს, – განაცხადა მან.

ადვოკატი გამოძიების მიმდინარეობით კმაყოფილია. ის არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული საქმის ფარგლებში სხვა პირთა დანაშაულიც გამოიკვეთოს.

– ვინ არის მკვლელობის დამკვეთი და ვინ იყო ბესიკ ხარძიანის სიკვდილით დაინტერესებული, ამას გამოძიება დამატებით გასცემს პასუხს, ისევე, როგორც წარმატებით გააკეთა დღეს ეს, – განაცხადა მალხაზ სალაყაიამ.

მისი თქმით, გამოძიების მხრიდან ბესიკ ხარძიანის ოჯახს ინტენსიურად მიეწოდებოდა საგამოძიებო მოქმედებების შედეგებზე ინფორმაცია, მათ შორის მათთვის ცნობილი იყო იმ პირთა ვინაობა, რომლებსაც პროკურატურამ მკვლელობის ბრალდება წარუდგინა.

რაც შეეხება მკვლელობის მოტივს, ადვოკატი აცხადებს, რომ ამასთან დაკავშირებით ვერაფერს იტყვის და ამაზე ისაუბრებენ ის პირები, რომლებსაც ბრალი წარედგინათ და რომლებიც წარდგებიან სასამართლოს წინაშე.

ადვოკატი ჟურნალისტების შეკითხვის საპასუხოდ ასევე განმარტავს, რომ ხარძიანის ოჯახი მკვლელობის მოტივად გია უდესიანის ფაქტორს ასახელებს.

– ამის შეფასება მოხდება სასამართლოში, თუმცა ოჯახი იმავე პოზიციაზეა. გარდა ამ ვერსიისა, სხვა ვერსია მე არ მსმენია, – განაცხადა მალხაზ სალაყაიამ.

* * *

– გია უდესიანს არანაირი მოტივი არ ჰქონდა, რომ ბესიკ ხარძიანი მოეკლა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს გია უდესიანის დამ, ნატო უდესიანმა განუცხადა.

მისი თქმით, გია უდესიანმა სასამართლოს წარუდგინა მასალები, სადაც მტკიცდება, რომ ბესიკ ხარძიანისთვის უდესიანს კუს ტბა ძალით არ წაურთმევია.

ნატო უდესიანის განმარტებით, იგი გულისხმობს ვიდეოჩანაწერებს, სადაც გია უდესიანს ხარძიანის და, მაია ხარძიანი დახმარებას სთხოვს.

აღნიშნული მასალით კი, როგორც უდესიანის და ამბობს, ყველაფერი ნათელი ხდება და გია უდესიანი თავის უდანაშაულობას ამტკიცებს.

ნატო უდესიანის თქმით, თავად ხარძიანების ოჯახს ბესიკ ხარძიანის მკვლელობასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ გააჩნია.

– ერთადერთი, რაც მინდა ვთქვა, გია უდესიანი არის აბსოლუტურად უდანაშაულო და მას ბესიკ ხარძიანის მკვლელობის მოტივი არ გააჩნდა, უფრო მეტიც, გეგმავდა ხარძიანთან შეხვედრასა და საუბარს, – განაცხადა ნატო უდესიანმა.

ის მოხარულია, რომ პროკურატურამ ბესიკ ხარძიანის მკვლელობისთვის ორი პირი პასუხისგებაში მისცა.

– მინდა, გამოძიებამ რეალური დამნაშავეები დასაჯოს. დარწმუნებული ვარ ჩემი ძმის უდანაშაულობაში, – განაცხადა ნატო უდესიანმა.

მისივე თქმით, გია უდესიანს რომ ბესიკ ხარძიანის მიმართ რაიმე ცუდი განზრახვა არ ჰქონდა, ამას მოწმობს სასამართლოში მიმდინარე დავაც.

– გიასა და ბესო ხარძიანს შორის დავა სამართლებრივ სიბრტყეში იყო გადასული და ყველანი ვიყავით სასამართლოს მოლოდინში. გიას არანაირი მოტივი არ ჰქონია, – განაცხადა ნატო უდესიანმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „გაზპრომთან საიდუმლო მოლაპარაკება აშშ-მ და ევროკავშირმა ჩაშალეს“

## ზაალ კასრელიშვილი: „მოსკოვი აფხაზეთსა და ცხინვალს საკუთარი ხელით დაგვიბრუნებს“

შორენა მარსაგიშვილი



რატომ მისცა დასავლეთმა გაზპრომთან დაწყებულ მოლაპარაკებებს დადებითი შეფასება, როგორ შეიძლება რუსეთის შეჩერება, რა შედეგს მოიტანს ირანისთვის დაწესებული სანქციების მოხსნა? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.

***— გაზპრომთან დაწყებულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ხელისუფლება ამბობს, რომ რუსეთი გვაშანტაჟებს და, თუ მათ პირობებს არ გავითვალისწინებთ, ჩვენი გვერდის ავლით სომხეთს ირანიდან მიაწვდიან გაზს. ამ დროს ექსპერტები ამბობენ, რომ ირანსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდება. რა ხდება და ვინ გვატყუებს?***

— ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი ვერსია მოვისმინეთ. ისე წავიდა საქმე, რომ სიმართლის თქმაც კი პრობლემაა. პრობლემაა მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რაც ნაციონალებმა თქვეს, აღარ უნდა გაიმეორო.

ყველაზე მეტად ჩვენი ხელისუფლების ბოლო განცხადებამ გაგვაღიზიანა. გვეუბნებიან, რომ რუსეთი გვაშანტაჟებს და თურმე თუ მათ მოთხოვნებს არ დავეთანხმებით, სომხეთს გაზს ირანიდან მიაწვდიან. აღნიშნული განმარტება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

***— სასაცილო რატომ არის, რუსეთს შანტაჟი გაუჭირდება თუ არ იკადრებს?***

— რუსეთი რომ ყველაფერზე წამსვლელია, ამას ისედაც ვხედავთ, მაგრამ, როცა გაზსადენი შენს ტერიტორიაზე გადის, რანაირად უნდა დაგაშანტაჟონ? აბა ერთი შემხვედრი წინადადება დაუყენე და ვნახავ, რას იზამენ.

***— შემხვედრი წინადადება რა უნდა იყოს?***

— უთხრან, რომ საერთოდ არ გავატარებ ჩემს ტერიტორიაზე არსებულ მილსადენში გაზს. არც ის დაგვიწყებია, ამ გაზსადენის მშენებლობამ რამხელა ეკოლოგიური ზარალი მოუტანა საქართველოს. სომხეთსა და რუსეთს პირობა ჰქონდათ დადებული, რომ გაზსადენის გარშემო ეკოლოგიური გარემო აღდგებოდა. იქ სხვადასხვა ტიპის ნარგავები უნდა დაერგათ. ეს პირობაც არ შეუსრულებიათ და, მგონი, დროა, ამის შესრულებაც მოვითხოვოთ.

პრეტენზიები იქით გვაქვს წასაყენებელი და ამ დროს ვილაცა გვეუბნება, რომ გვაშანტაჟებენ. როგორც კი ეტყვი, რომ საქართველო ამ გაზსადენით ბუნებრივ აირს არ გაატარებს, ნახავთ, ორივე მხარე როგორ ამოიძუებს კუდს.

***— მართლაც რომ შეასრულოს დანაპირები და ირანიდან მიაწოდოს გაზი, მერე რა იქნება?***

— არაფერიც არ იქნება, რადგან რუსეთი და ირანი ამ თემაზე ვერ შეთანხმდებიან. ჯერ კიდევ გასულ წელს ვთქვით „ახალ თაობასთან“ საუბარში, რომ დასავლეთი ირანს სანქციებს მოუხსნიდა. რაწამს ეს მოხდებოდა, ირანსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა დაიძაბებოდა. ისინი ახლა უკვე ერთმანეთის კონკურენტები არიან.

22 წელია ირანი ენერგომატარებლების საერთაშორისო ბაზარზე არ ყოფილა. ის ახლა არის ახალი პროდუქტი. მან უნდა იპოვოს მომხმარებელი. მომხმარებელი კი სხვა ქვეყნებს უკვე გადანაწილებული ჰყავთ. ამიტომაც ირანი ბაზარზე მაღალი ხარისხის პროდუქტითა და დაბალი ფასით უნდა შევიდეს. ეს კი პირდაპირ ურტყამს რუსეთის ინტერესებს. ასე რომ, ამ თემით რუსეთი ვერ უნდა გვაშანტაჟებდეს.

გაზპრომთან მოლაპარაკებების მიმდინარეობისას ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს აშშ-ის ელჩმა და ევროკავშირის წარმომადგენელმა. აშშ ამბობს, რომ განმარტებები მოისმინეს და კითხვები აღარ აქვთ. ევროკავშირი კი გვეუბნება, რომ მონიტორინგი აქვს დაწესებული ამ მოლაპარაკებებზე.

***— რითია მათი განცხადებები მნიშვნელოვანი?***

— ორივე მათგანი ჩვენი მოკავშირეა. ამ საკითხით განსაკუთრებით ევროპაა დაინტერესებული. ის, რომ ეს ხალხი კმაყოფილია, ნიშნავს, რომ საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

***— ანუ ხელისუფლება ისეთს არაფერს აპირებდა?***

— მათი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლება ისეთს არაფერს აპირებდა. ვივარაუდოთ, რომ კარგად ვერ აგვიხსნეს, რაში იყო საქმე. ჩვენ გვგონია, რომ აქ სხვა რაღაცაშია საქმე. ხელისუფლებამ თავიდან ცუდად დაიწყო, მაგრამ აშშ-ის და ევროპის ჩარევით მოლაპარაკებებში სერიოზული კორექტივები იქნა შეტანილი. ახლა გაზპრომთან მოლაპარაკებები სახიფათო აღარ არის. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბოლო შეხვედრა გაზპრომთან ვენაში გამართეს. ეს ადგილი შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული. ავსტრია ევროპაში ყველაზე ანტირუსულად განწყობილი ქვეყანაა. იქ რაღაც აუცილებლად მოხდებოდა. ფაქტი ისაა, რომ კორექტივები უკვე შეტანილია.

***— რა კორექტივები შეიძლებოდა შეგვეტანა აშშ-ის და ევროპის ჩარევის შედეგად?***

— გულწრფელად რომ გითხრათ, ვერაფერი გავიგეთ. ჩვენი ხელისუფლების ყოველი მომდევნო განმარტება არაპროფესიონალიზმის აპოგეა გახლდათ. ამ ეტაპზე აშშ-მ და ევროპამ გაზპრომთან საიდუმლო მოლაპარაკებები ჩაშალეს.

***— ამ ეტაპზეო, ამბობთ და ფიქრობთ, რომ მომავალშიც გაგრძელდება?***

— რუსეთი შეეცდება. რას იზამს ჩვენი მთავრობა, არ ვიცი. თუ რაიმე ფარულ გარიგებაზე წავიდნენ, ამით ბევრ ქვეყანას გავანაწყენებთ ევროპაში, რის კომპენსირებასაც რუსეთთან კარგი ურთიერთობა ვერ მოახდენს, მით უმეტეს, რომ მოსკოვი გვაშანტაჟებს.

პირდაპირ საოცარ სიტუაციაში ვართ. ჩვენი მდგომარეობა იმ მონადირისას ჰგავს, რომელიც კარგად არის მომზადებული, იარაღიც დატენილი აქვს, მაგრამ როჭო და მწყერი აშანტაჟებენ.

***— რუსეთი მთლად როჭო და მწყერი არ უნდა იყოს.***

— როცა შენს ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენით გაშანტაჟებენ და შენზე არიან რაღაცაში დამოკიდებული, როჭოებიც არიან, მწყრებიც და ბაჭიებიც. ამ შემთხვევაში შენც მამალი მონადირე უნდა იყო და რეგიონში შენი ფასი უნდა იცოდე.

***— თქვენ კი თვლით რუსეთს როჭოდ, მაგრამ ამ როჭოს ზემოქმედებისთვის სხვა მექანიზმები არ გააჩნია ვითომ?***

— რა მექანიზმები? რას გვიზამს? სომხეთს აგვიმხედრებს? მთელი სომხეთი ჩვენზე გამავალი გაზსადენით იღებს ბუნებრივ აირს.

***— შიდა ქართლსა და თრუსოს ხეობაში პროვოკაციებს გამორიცხავთ?***

— იმაზე მეტი რაღა უნდა გააკეთონ, რაც უკვე გააკეთეს? თრუსოს ხეობის თავზე ისკანდერები განათავსეს, შიდა ქართლში კი იქამდე გადმოსწიეს საძოვარი, სადამდეც შეიძლებოდა. ყველაფერი წაიღეს, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ერთი თბილისის აღებაღა დარჩათ მარაგში.

***— რამე რომ იყოს, თბილისზე წამოვლენ?***

— წამოვიდნენ და აიღონ, ეს უფრო ადრე დაასრულებს ამ იმპერიას. დღეს რუსეთი ისეთ მდგომარეობაში არ არის, რომ ზემოდან გვიყუროს, ახლა შეგვიძლია, იქით წავუყენოთ პირობები.

***— ფიქრობთ, რომ იქით შეგვიძლია მისი დაშანტაჟება?***

— მათი დაშანტაჟება ნამდვილად შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ კიდეც. ეს სიტყვა არ მიყვარს. მოდით, ასე ვთქვათ — ჩვენ შეგვიძლია პირობების დაყენება, რომელთა შესრულებაც მოსკოვს აუცილებლად მოუწევს.

***— ეს პირობები მარტო გაზპრომს ეხება თუ ტერიტორიულ მთლიანობასაც?***

— წართმეულ ტერიტორიებს რუსეთი საკუთარი ხელით დააბრუნებს და ეს ძალიან მალე მოხდება. დამიჯერეთ, ამ განცხადებას ჰაერზე არ ვაკეთებ. მოსკოვს ისეთი მძიმე პერიოდი ელოდება, რომ ჩვენი დახმარება დასჭირდება.

***— ჩვენ რაში უნდა დავეხმაროთ რუსეთს?***

— დასავლეთთან შერიგებაში. საერთაშორისო თანამეგობრობაში სრულუფლებიან წევრად დაბრუნებას მოსკოვი მხოლოდ საქართველოს დახმარებით შეძლებს.

***— და ამის სანაცვლოდ დააბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალს?***

— არამარტო ამის სანაცვლოდ.

***— ვთქვათ, რუსეთმა დათმო ეს ტერიტორიები. აფხაზები და ოსები მოინდომებენ ჩვენს შემადგენლობაში შემოსვლას?***

— მოისურვებენ. ისინი საქართველოდან საკუთარი სურვილით არ წასულან. ეს ყველაფერი გააკეთეს რუსეთმა და ბნელმა ძალებმა. აფხაზები და ოსები უკვე აღიარებენ, რომ მათ საქართველოს შემადგენლობაში ბევრად მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე ახლა ე.წ. დამოუკიდებლობის დროს აქვთ.

რუსეთი თავის დროზე აცხადებდა, რომ აფხაზებსა და ოსებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლებას მის შემადგენლობაში მყოფი ერებიც ითხოვდნენ. მოსკოვმა მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აფხაზეთსა და ცხინვალს თუ არ დააბრუნებს, ჩრდილოეთ კავკასია აბუნტდება, მათ შეჩერებას კი დასუსტებული რუსეთი ვეღარ შეძლებს.

***— ვთქვათ, მოხდა ეს სასწაული და დაბრუნდნენ. საქართველო შეძლებს ამ 2 რეგიონის შენახვას?***

— შეძლებს, აუცილებლად შეძლებს. ჩვენს ქვეყანას ამის რესურსები ჯერ კიდევ აქვს. რაც შეეხება რუსეთს, ის ცხინვალისა და სოხუმის შენახვას ველარ მოახერხებს. მათი ეკონომიკა უკვე ფსკერზეა.

***— შეეგუება ამას მოსკოვი?***

— რა უნდა ქნას? გაზპრომით ველარ დააშანტაჟებს ევროპას. ძალიან მალე შაჰდენიზის პროექტი ამოქმედდება და ევროპა რუსეთის გვერდის ავლით მიიღებს ბუნებრივ აირს. მაშინ ვნახავთ, რა მოთხოვნებს წამოაყენებენ. როგორც კი რამე ულტიმატუმს დაუყენებენ დასავლეთს, მაშინვე იმ სიტყვაზე გაუშვებენ, რომლის გამოყენებაც ასე ძალიან უყვართ რუსებს.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ივანიშვილის გარეშე კოალიციას ბარიერის გადალახვაც კი გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის კოალიცია „ქართული ოცნება“ არსებული ფორმით შენარჩუნდება და მას არავინ დაემატება.

**ვახტანგ ძაბირაძე:**

— კოალიციამ 2012 წლის არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ერთ იდეოლოგიაზე მყოფი ჯგუფი, მაგრამ მაშინ მის წინაშე სხვა ამოცანა იდგა. დღეს ამოცანა სხვა არის. „ქართულმა ოცნებამ“ რეიტინგი დაკარგა, მაგრამ მაინც ინარჩუნებს პოლიტიკურ სპექტრში ლიდერის ფუნქციას. რაც მთავარია, ოპოზიციურ სპექტრში არ ჩანს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ექნება რესურსი, რომ ამომრჩეველი მიიზიდოს.

***— კოალიცია არსებული ფორმით შენარჩუნდება? გავრცელებული ხმებით, ფორუმი არ იქნება წარმოდგენილი მომავალ არჩევნებზე.***

— ეს არ იქნება კარგი სვლა თავად ფორუმისთვის. ასევე კოალიციისთვის ნებისმიერი სუბიექტის გასვლა არ იქნება მომგებიანი. ეს პროცესი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ხმების გადანაწილებაზე. ვერ გეტყვით, ივანიშვილს რა პრეტენზიები აქვს ფორუმთან. მართალია, მისი დეპუტატები არ იყვნენ აქტიურები ამ მოწვევის პარლამენტში, მაგრამ მათ აქვთ რესურსი, თუნდაც კახა შარტავას რეზო შავიშვილის სახით. მათ ამომრჩეველი იცნობს და მათ მიმართ ნამდვილად არ აქვს საზოგადოებას პრეტენზიები და გაღიზიანება.

თუ „ქართულ ოცნებას“ ამომრჩევლის მოზიდვა უნდა, სწორედ ასეთ პიროვნებებზე უნდა გააკეთოს აქცენტი და მიიზიდოს სიაში. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავის დროზე უარი თქვეს მანდატებზე.

***— ბიძინა ივანიშვილმა ღიად განაცხადა, რომ აქტიურად მიიღებს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას.***

— ეს სწორი სტრატეგიაა ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რადგან კოალიციის რეიტინგი ივანიშვილის რეიტინგია. აქ ტოლობის ნიშანია. ივანიშვილის გარეშე კოალიციას შეიძლება 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა დაუდგეს. ეს სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83



***— კოალიციაში შეიძლება რომელიმე არასაპარლამენტო პარტია იყოს წარმოდგენილი, მაგალითად, ინაშვილის პარტია ან ბურჯანაძის?***

— ამ შესაძლებლობას ვერ ვხედავ. მაშინ სრულიად სხვა კონფიგურაციას მივიღებთ. კოალიცია ისედაც ჭრელია და კიდევ უფრო გაჭრელდება. მაშინ საერთოდ გაუგებრობამდე მივალთ. კოალიცია ამ მიმართულებით არ წავა. ის აქცენტს პარტიებზე კი არა, პიროვნებებზე გააკეთებს, რომლებიც ამა თუ იმ პარტიიდან იქნებიან.

***— „ქართული ოცნება“ სიაში ჩასვამს არა პარტიას, არამედ პოლიტიკოსს?***

— დიახ, უფრო ინდივიდუალური შეთავაზებები იქნება. ოპოზიცია დღეს ერთდროულად ჭრელიც არის და სუსტიც, ამდენად, მისი კოალიციაში შეყვანა „ქართულ ოცნებას“ დიდს ვერაფერს მოუტანს.

***— არასაპარლამენტო ოპოზიცია შეიძლება ერთიანად წარდგეს ამ არჩევნებზე?***

— ეს უფრო რაციონალური და საინტერესო იქნებოდა, მაგრამ, რამდენად შეძლებს ამას, ეს რთული სათქმელია. ერთ გუნდად ჩამოყალიბებულ ოპოზიციას აქვს იმის შანსი, რომ ბარიერიც გადალახოს და კონკურენტუნარიან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდეს.

საგარეჯოს შუალედურ არჩევნებამდე „პატრიოტთა ალიანსს“ კარგი პერსპექტივა ჰქონდა, მაგრამ არასწორი გათვლა გააკეთა, როდესაც პოლიტიკური რიტორიკა შეცვალა და მისი კრიტიკის ობიექტი ნაციონალური მოძრაობის ნაცვლად „ქართული ოცნება“ გახდა. ეს იყო შეცდომა. მათდამი სიმპათიები მოსახლეობაშიც განელდა.

***— ირაკლი ალასანიას თავისუფალი დემოკრატები მეორე ადგილისთვის იბრძოლებს, როგორც ნაციონალური მოძრაობა?***

— სწორედ ასეა. მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ ალასანიას პარტია და ნაციონალური მოძრაობა. ჯერჯერობით ალასანიას გუნდს არ აქვს იმის რესურსი, რომ პირველობისთვის იბრძოლოს. თავის დროზე მათ იჩქარეს, როდესაც კოალიციის კარი გამოიჯახუნეს. ეს კარი მათ სასარგებლოდ არ ახმაურდა, თუმცა, ძალიან მინდა, მათ ბარიერი გადალახონ, რადგან კარგი გუნდია და ისინი მომავალ პარლამენტს აუცილებლად დასჭირდება.

დღეს, გარდა „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობისა, 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა ყველა დანარჩენ პოლიტიკურ ძალას უდგას.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi@yahoo.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „კავთისხევის„ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 29 700 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

4 828 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

482,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

2 614 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 22 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

2 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi@yahoo.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭაჭარაქის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 81 300 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭაჭარაქის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

10 901 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 090,1 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

5 651 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 22 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi@yahoo.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ობიექტის დამუშავების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ცხადაძე ამბობს, რომ მას და ფეხბურთის ფედერაციას შორის კონტრაქტთან დაკავშირებული გაუგებრობა სპორტის მინისტრის სიტყვებს მოჰყვა.

**კახა ცხადაძე:**

– გერმანიასთან სტუმრად წაგებული მატჩის შემდეგ ჩავატარეთ პრესკონფერენცია, სადაც ვთქვით, რომ კარგი იქნებოდა თუ მესამე ადგილზე გასვლის შემთხვევაში დაწესდებოდა პრემია ფეხბურთელებისთვის. ამის შემდეგ სპორტის მინისტრი გამოდის და ამბობს, რომ ნაკრების მწვრთნელს უნდა ჰქონდეს დაბალი ხელფასი და უნდა გადავიდეს ბონუსურ სისტემაზე. ერთ დღესაც კი სპორტის მინისტრმა პირადად მითხრა, რომ არ აპირებდა ჩემთვის მაღალი ხელფასის გადახდას.

ტარიელ ხეჩიკაშვილს დიდი სურვილი აქვს, შემცვალოს. ჩემი შეთავაზება ფეხბურთის ფედერაციის მიმართ არის ის, რომ დავიკლოთ ხელფასის 25 პროცენტი, შესარჩევ ეტაპზე მესამე ადგილზე გასვლის შემთხვევაში კი ეს თანხა უკან დამიბრუნდეს.

❖ ❖ ❖

ახლა ცხადაძის ხელფასზეც ვთქვათ.

როგორც მან თავად განაცხადა, ის საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე დათანხმდა წინამორბედებზე 60 პროცენტით ნაკლებ ხელფასზე, ოღონდ კონკრეტული თანხა არ დაუსახელებია, თუმცა არც ამის გამოთვლა იქნება რთული.

ბოლო სამი წინამორბედი მწვრთნელები იყვნენ გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი და ქართველი თემურ ქეცბაია.

ტოპმიოლერს საარაკო ხელფასი დაუნიშნეს. ბოლო, ყველაზე სანდო მონაცემებით გერმანელი სპეციალისტის გასამრჯელო წელიწადში დაახლოებით 5.485.000 ლარი იყო.

ბუნებრივია, გასაიდუმლოებული იყო კუპერის ხელფასიც. გამოჟონილი ინფორმაციით, კუპერი შედარებით „მოკრძალებულ“ თანხას დათანხმდა, ოღონდ ეს თანხაც გვარიანად აღემატებოდა მილიონ ევროს.

ერთადერთი მწვრთნელი, რომლის ხელფასიც გახმაურდა, თემურ ქეცბაიაა. კუპერის მომდევნო თავკაცი საქართველოს ნაკრებში მუშაობას 2.651.700 ლარის სანაცვლოდ დათანხმდა.

სავარაუდოდ, ცხადაძის ხელფასი 1.200.000 ლარია.

# 19 წლამდე ნაკრები ბულგარელებს გაეჯიბრება




საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ორი უახლოესი მატჩისთვის ემზადება. ახალ მწვრთნელ გიორგი ყიფიანის თავკაცობით ჩვენები 24 და 26 იანვარს ბულგარეთის ნაკრებს გაეჯიბრებიან.

ყიფიანმა ფეხბურთელები ტექნიკურ ცენტრ ბასაზე შეკრიბა. მოახლოებული ამხანაგური მატჩებისთვის 23 ფეხბურთელია გამოძახებული.

სიაში არ არის გიორგი არაბიძე, რომელიც დონეცკის შახტარს ახლავს შეკრებაზე. ასევე არ არის გამოძახებული ბელგიური გენტის შემტევი გიორგი ბერიძე. როგორც ყიფიანი აცხადებს, მისი შესაძლებლობები კარგად იცის და ეიმედება, თუმცა ახლა სურს, სხვა ფეხბურთელებს დააკვირდეს.

მას ძალიან უნდოდა, საქმეში ენახა კრასნოდარისა და სარატოვის სოკოლის ფეხბურთელები გოგლიჩიძე და ცქიტიშვილი, მაგრამ მათი ჩამოსვლა ამჯერად ვერ მოხერხდა.

სამაგიეროდ, გუნდშია ნიკა ქორიძე, რომელიც იტალიური რეჯინას ღირსებას იცავს.

**გამოძახებულთა შორის არიან:**

**მეკარეები:** ბექა ქურდაძე, ოთო გოშაძე (ორივე საბურთალო).

**მცველები:** დავით ახალაძე (სამტრედია), ანდრო ნემსაძე, ვახტანგ კაპანაძე, დავით კობოური, ლუკა ლოჩოშვილი (ყველა დინამო თბ), ცოტნე ნადარაია (საბურთალო), ირაკლი კამლაძე (ვიტ ჯორჯია), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო).

**ნახევარმცველები:** სანდრო ალთუნაშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, გიორგი კოხრეიძე, ბექა გვარაძე (ყველა საბურთალო), დავით სამურკასოვი, გიორგი კიკნაძე, შერმადინ ართმელაძე (ყველა ლოკომოტივი), ნიკა ბაშელეიშვილი (დინამო თბ), ნიკა ქორიძე (რეჯინა, იტალია).

**თავდამსხმელი:** გურამ გოშთელიანი (საბურთალო), ენვერ ლილუაშვილი, ბექა მიქელთაძე (ორივე დინამო თბ).

24 იანვარს მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება, ხოლო 26-ში გუნდები გორში გადაინაცვლებენ და თენგიზ ბურჯანაძეზე მოსინჯავენ ძალებს.

## 20 იანვარი

### ფეხბურთი

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

| | |
|---|---|
| ბოლტონი-ისტლეიგი | 3:2 |
| რედინგი-ჰადერსფილდი | 5:2 |
| ლესტერი-ტოტენჰემი | 0:2 |
| ლივერპული-ექსეტერი | 3:0 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

| | |
|---|---|
| სელტა-ატლეტიკო | 0:0 |
| ბილბაო-ბარსელონა | 1:2 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| სასუოლო-ტორინო | 1:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 20 | 13 | 5 | 2 | 41-16 | 44 |
| 2.იუვენტუსი | 20 | 13 | 3 | 4 | 37-15 | 42 |
| 3.ინტერი | 20 | 12 | 4 | 4 | 25-13 | 40 |
| 4.ფიორენტინა | 20 | 12 | 2 | 6 | 37-21 | 38 |
| 5.რომა | 20 | 9 | 8 | 3 | 37-23 | 35 |
| 6.მილანი | 20 | 9 | 5 | 6 | 27-23 | 32 |
| 7.სასუოლო | 20 | 8 | 8 | 4 | 25-21 | 32 |
| 8.ემპოლი | 20 | 9 | 4 | 7 | 25-24 | 31 |
| 9.ლაციო | 20 | 8 | 4 | 8 | 25-29 | 28 |
| 10.კიევო | 20 | 7 | 6 | 7 | 26-22 | 27 |
| 11.ტორინო | 20 | 7 | 5 | 8 | 27-26 | 26 |
| 12.ატალანტა | 20 | 7 | 4 | 9 | 21-24 | 25 |
| 13.უდინეზე | 20 | 7 | 3 | 10 | 18-31 | 24 |
| 14.სამპდორია | 20 | 6 | 5 | 9 | 29-32 | 23 |
| 15.ბოლონია | 20 | 7 | 2 | 11 | 22-27 | 23 |
| 16.ჯენოა | 20 | 6 | 4 | 10 | 23-26 | 22 |
| 17.პალერმო | 20 | 6 | 3 | 11 | 19-33 | 21 |
| 18.კარპი | 20 | 4 | 5 | 11 | 19-35 | 17 |
| 19.ფროზინონე | 20 | 4 | 3 | 13 | 22-45 | 15 |
| 20.ვერონა | 20 | 0 | 9 | 11 | 13-32 | 9 |

**იტალია. თასი**

| | |
|---|---|
| ლაციო-იუვენტუსი | 0:1 |

**საფრანგეთი. თასი**

| | |
|---|---|
| პსჟ-ტულუზა | 2:1 |
| ჩამბლი-ლიონი | 0:2 |
| კონკარნო-ტრუა | 1:3 |
| ევიანი-მონაკო | 1:3(დდ) |
| მანტი-ნანტი | 0:1(დდ) |

## შედეგები

| | |
|---|---|
| ტრელისა-ლილი | 1:1(4:2პ) |
| ბულონი-ლორიანი | 1:3(დდ) |
| მარსელი-მონპელიე | 2:0 |

**ბელგია. თასი**

| | |
|---|---|
| სტანდარდი-გენკი | 2:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქსანთი-პაოკი | 1:1 |

### ჩოგბურთი

**ავსტრალიის ღია პირველობა**

| | |
|---|---|
| ბელუჩი-ჯონსონი | 3:6;2:6;2:6 |
| მილმანი-მიულერი | 4:6;6:4;6:2;4:6;7:5 |
| კუზნეცოვი-ჩარდი | 6:4;7:6;7:6 |
| სოკი-როსოლი | 6:7;6:7;3:6 |
| შტეპანეკი-ვავრინკა | 2:6;3:6;4:6 |
| ფერერი-ჰიუიტი | 6:2;6:4;6:4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| კორნე-ჟანგი | 3:6;3:6 |
| კერბერი-დულჟერუ | 6:2;6:4 |
| მაკაროვა-მარია | 6:4;6:2 |
| ბეკი-ბაჩინსკი | 6:2;6:3 |

# წყალბურთელთა ისტორიული გამარჯვება




© საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პირველი გამარჯვება იზეიმა. იოვან პოპოვიჩისა და ვლადიმერ ისელიძის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირზე მე-13-16 ადგილებისთვის მატჩში თურქეთის ნაკრები 12:11 დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები მეორედ თამაშობს ევროპირველობაზე, თურქეთთან დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება კი პირველია.

ქართველმა წყალბურთელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და პირველი მეოთხედი 5:2 მოიგეს. ჩვენებმა ერთი ბურთით გაზარდეს სხვაობა მეორე მეოთხედში და დიდ შესვენებაზე სოლიდური ჰანდიკაპით გავიდნენ – 8:4.

მესამე მეოთხედი ფრედ დასრულდა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ თურქებმა მოინდომეს და მატჩს ბოლომდე დაუტოვეს ინტრიგა, თუმცა გათანაბრება ვერ მოახერხეს.

საქართველოს ნაკრებში ყველაზე შედეგიანი მიხეილ ბაღათურია იყო 3 გოლით, 2-2-ჯერ გაიტანეს დამირ ცრეპულიამ, მარკო ელეზმა და ზურაბ რურუამ. თითო გოლი მიითვალეს ბექა ქავთარაძემ, მარკო ელაჩამ და კონსტანტინე გეგელაშვილმა.

ჩემპიონატზე ბოლო მატჩს საქართველოს ნაკრები 22 იანვარს, სლოვაკეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს და წარმატების შემთხვევაში საბოლოოდ მე-13 ადგილს დაიკავებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# გია ნიჟარაძე მსოფლიო რაგბის კომისიაშია



მსოფლიო რაგბის აღმასრულებელმა კომიტეტმა ახალი სადისციპლინო კომისია შექმნა, რომლის ერთ-ერთ წევრი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე გახდა.

კომისია მუშაობას 2015 წლის მსოფლიო თასთან დაკავშირებული სადისციპლინო საკითხების განხილვით დაიწყებს (მ.შ. ტურნირის სადისციპლინო დებულების ეფექტური და არაეფექტური მხარეების გამოვლენა, მისაღები ზომების განხილვა და ა.შ.). სავარაუდოდ, მომავალში ამ კომისიას სხვა საკითხების განხილვაც დაევალება.

პირველ თებერვალს ჯგუფი გამართავს სატელეფონო კონფერენციას, ხოლო პირველ სხდომას 3 მარტს დუბლინში ჩაატარებს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ირაკლი მენაღარიშვილი: „შემოსავლების შემცირება რუსეთს აიძულებს, მსოფლიო თანამეგობრობას ანგარიში გაუწიოს“

## გაეროს ექსპერტების აზრით, რუსეთში შექმნილი სიტუაცია მთელ რეგიონზე აისახება

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთში შექმნილი საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები აიძულებს რუსეთს, წავიდეს დათმობებზე და ანგარიში გაუწიოს მსოფლიო თანამეგობრობას.

– თუ რუსეთს შემოსავლები შეუმცირდა, რუსეთს დასჭირდება დასავლეთი. ეს მომენტი მაშინ დგება ხოლმე, როცა რუსეთს ფული შემოაკლდება, – განუცხადა საზოგადოებრივ რადიოს ირაკლი მენაღარიშვილმა.

მისი თქმით, ნავთობის ფასის ვარდნა იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც 90-იან წლებში გამოიწვია რუსეთის სახელმწიფო მანქანის დასუსტება.

ირაკლი მენაღარიშვილი აღნიშნავს, რომ როცა ასეთი მდგომარეობა აქვს, მაშინ რუსეთი უფრო ლოგიკურად და კორექტულად იწყებს მსჯელობას თემებზე. რუსეთს ახლაც მოუწევს, ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს. კერძოდ, მოსალოდნელია უკრაინის პრობლემისა და სხვა, მათ შორის, ჩვენთვის მტკივნეული თემების გააქტიურება, თუმცა ეს პროცესები მარტივი არ იქნება.

– ფასებით ზემოქმედების გარდა, რუსეთი იყენებს პროპაგანდას. ამჟამად პუტინი ცდილობს, ექსპლუატაცია გაუწიოს რუსი ხალხის უნიკალურ თვისებას, გაუძლოს გაჭირვებას, თუკი მას დაარწმუნებენ, რომ იგი ებრძვის მტერს, – აცხადებს ყოფილი მინისტრი.

მისი შეფასებით, რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან მანიპულირებდა გაზის მიწოდებითა და მილსადენების ინფრასტრუქტურით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. საქართველოში კი რუსეთის როლი მაშინ შემცირდა, როცა ამუშავდა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, თუმცა რუსეთი ამ სფეროდან ბოლომდე არ გასულა.

რუსეთში შექმნილ მძიმე სიტუაციაზე მოხსენებას აქვეყნებს გაერო. ამ ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის პრობლემები სერიოზულ გავლენას ახდენს რეგიონზე. ამ ქვეყნებს შორის დასახელებულია საქართველოც.

გაეროს მონაცემებით, დსთ-ის წევრი და სხვა ქვეყნები გარკვეულწილად დამოკიდებული არიან ფულად გადარიცხვებზე რუსეთიდან.

– რუსეთის ეკონომიკის ვარდნამ ნეგატიური ეფექტი იქონია რეგიონზე, რაც გაგრძელდება 2016 წელსაც. დსთ-სა და საქართველოში, 2015 წლის შედეგებით, მთლიანი შიდა პროდუქტის კლებამ 3% შეადგინა.

რუსეთში სიტუაციის დამძიმების მიუხედავად, გაეროს ექსპერტები დსთ-სა და საქართველოში მშპ-ს ვარდნის შეჩერებას ვარაუდობენ. მოსალოდნელია, რომ ის 2016 წელს 0,7%-ით გაიზარდოს კიდეც.

გაეროსავე მონაცემებით, რუსეთში წელს ინფლაციის დონე 10,5%-ს შეადგენს, მშპ კი ნულოვანი იქნება.

რუსეთის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახა ნავთობის გაიაფება, აგრეთვე აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ შემოღებული სანქციები.

ამან გამოიწვია რუსეთიდან კაპიტალის გადინება და ინვესტიციების შემცირება.



# ღორის გრიპისგან ხელების დაბანა დაგიცავთ

ნონა ცაბაძე

**ზამთრის დადგომასთან ერთად, ქვეყანაში ვირუსული ინფექციებიც მატულობს. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები გვაიმედებენ, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს. „ახალი თაობა“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ პაატა იმნაძეს ესაუბრა.**





***– ბატონო პაატა, პანიკაშია საზოგადოება. შეგიძლიათ რაიმე საიმედო გვითხრათ?***

– არაფერი საპანიკო არ ხდება. ჩვეულებრივი ზამთარია და ჩვეულებრივი გრიპია.

***– უკვე 3 ადამიანი გარდაიცვალა ე.წ. ღორის გრიპით.***

– სამწუხაროდ, ყოველ სეზონზე არის ხოლმე გრიპით გარდაცვალების შედეგები. პანდემიური წელი რომ იყო, იმ წელს 40 ადამიანი გარდაიცვალა და დადასტურებული იყო, რომ მათ სწორედ ამ ტიპის ვირუსი ჰქონდათ.

***– თქვენ ამტკიცებთ, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს?***

– თუ შევადარებთ სტატისტიკურ მონაცემებს, წინა წლებთან შედარებით, საპანიკო არაფერია. გასულ პერიოდებში გაცილებით მეტი შემთხვევა ფიქსირდებოდა.

***– რა სიმპტომებით იწყება აღნიშნული ვირუსი?***

– ამ გრიპის სიმპტომები ადამიანში ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი გრიპის ინფექციისა. დაავადების ნიშნებია: თავის ტკივილი, სხეულში მტრევის შეგრძნება, კანკალი, სისველე ცხვირში, ყელის ტკივილი, ხველა, მაღალი ტემპერატურა, ორგანიზმის დასუსტება. ზოგიერთ პაციენტში ვლინდება დიარეა და ღებინება. მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში ყალიბდება პნევმონია, სუნთქვის უკმარისობა და სიკვდილი, განსაკუთრებით კი – რისკის ჯგუფებში.

***– რა ასაკობრივ ჯგუფებში ჭარბობს ვირუსი?***

– ყველა ასაკობრივ ჯგუფში ერთნაირად არის თითქმის. მთელ საქართველოშია. ახლა აფხაზეთშიც დავადასტურეთ ვირუსის ცირკულაცია. ბოლო გარდაცვლილი პაციენტი აფხაზეთიდან იყო. ყველაზე საშიშია ახალგაზრდა ასაკში.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ისინი ყველაზე გვიან მიმართავენ ხოლმე ექიმს. ბავშვები დროზე მიჰყავთ და ამიტომ, საბედნიეროდ, ბავშვებში გართულებები არ გვაქვს. ვირუსი იწყება უეცარი, მაღალი ტემპერატურით. ტანში დამტვრეულობა, კუნთების ტკივილები, სახსრების და მერე მოჰყვება დანარჩენიც.

***– ამ პერიოდისთვის მხოლოდ ღორის გრიპია გავრცელებული და სხვა სახის ვირუსებიც არის?***

– გრიპის ვირუსების 99% არის H1 N1.

***– წინა წლებში იყო ამხელა მაჩვენებელი?***

– იყო, როგორ არ იყო. იყო პერიოდი, როცა 100%-ით H1 N1 იყო. მერე H3-ც იყო, მაგრამ ავადმყოფისთვის რა მნიშვნელობა აქვს, H1 იქნება თუ H3, ავადმყოფს დაემართება გრიპი.

***– სტაციონარებში რა მდგომარეობაა, რამდენად გადატვირთულია?***

– სტაციონარები საერთოდ არ არის დატვირთული. ინფექციური საერთოდ ცარიელია.

***– იაშვილის კლინიკაში ამ კუთხით მძიმე სიტუაციააო...***

– მიმართვიანობა მაღალია, მაგრამ სტაციონარები გადატვირთული არ არის.

***– რა პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას ურჩევდით მოსახლეობას?***

– ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის გაფრთხილება. დიდხანს ძილი, ფიზიკური აქტიურობა, სითხეების მიღება უხვი რაოდენობით, ვიტამინებით მდიდარი და ბალანსირებული კვება.

ღორის გრიპისგან თავდაცვის პირველი და უმთავრესი წესია ხელების დაბანა ხშირად, საგულდაგულოდ, თბილი წყლითა და საპნით ან სპირტზე დამზადებული დასაბანი საშუალებებით. ძალიან კარგია, თუ ადამიანი არ შეეხება ისეთ საგნებს, რომლებიც შესაძლოა იყოს დაინფიცირებული. უნდა მოერიდოთ ხალხმრავალ და საზოგადოების თავშეყრის ადგილებს. პირბადე დაგიცავთ ცემინებისა და ხველების დროს ჰაერში გაფანტული ვირუსული წვეთებისგან.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## ასტროპროგნოზი
### 22 იანვრისთვის



**ვერძი** – რთული და დაძაბული დღეა. დიდია ავადმყოფობის გამწვავების ალბათობა. ნუ იჯიუტებთ, უმჯობესია, კომპრომისზე წახვიდეთ. **კურო** – სწორად იკვებეთ, დაიცავით დიეტა. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. უკეთესი იქნება, თუ დღევანდელ დღეს გართობასა და დასვენებას დაუთმობთ. **ტყუპები** – ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ. თქვენს საქმეში ნურავის გარევთ. დიდია რისკის ალბათობა. **კირჩხიბი** – ეს დღე გამოირჩევა როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით. სამსახურში წინსვლა გელით. შესაძლოა, საყვარელმა ადამიანმა იმედი გაგიცრუოთ. **ლომი** – ნუ იქნებით აგრესიული. ერიდეთ საქმიან კონტაქტებს. შეეცადეთ, ნებისმიერ უსიამოვნებას ფილოსოფიურად მიუდგეთ. **ქალწული** – გაუფრთხილდით ოჯახის წევრებს. ერიდეთ მათთან კონფლიქტს. ფუჭ დაპირებებს ნუ გასცემთ. **სასწორი** – იმუშავეთ ინდივიდუალურად. შრომა დაგიფასდებათ. მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ფასეულობები საფუძვლიანად გადააფასეთ. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. დღეს ცივი გონებით იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – კარგი პერიოდია კოლექტიური საქმიანობისათვის. ნუ გადაიღლებით. საღამო მეგობრებთან ერთად გაატარეთ. **თხის რქა** – მამაკაცებს მაცდური წინადადებით მოგმართავენ, თუმცა აქედან კარგს არაფერს ელოდოთ. ნებისმიერი აქტივობა ფუჭი და უსარგებლო იქნება. **მერწყული** – დღეს დაისვენეთ მყუდრო გარემოში. მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება სხვა დროისათვის გადადეთ. **თევზები** – გაგიძლიერდებათ ინტუიცია. ფანტაზიას ფართო გასაქანი მიეცით და შედეგით თავად დარჩებით აღფრთოვანებული. ნებისმიერ სფეროში წარმატებას მიაღწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 2. ამერიკული პოლიტიკურ-ეკონომიკური ჟურნალი; 3. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 4. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 5. უზბეკეთის დედაქალაქი; 7. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 11. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 13. ინგლისელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 15. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 16. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ძლიერ ფეთქებადი ჭურვი; 19. პოეტური ქმნილება.

**თარაზულად**: 6. ილია ჭავჭავაძის ლექსი; 8. ქართველი რაგბისტი; 9. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 10. რაიმეს შეცვლა, გარდაქმნა; 12. ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 14. პიპინაშვილის საბავშვო მხატვრული ფილმი; 17. მიწაში ბინადარი შხამიანი ობობა; 20. გერმანიის იმპერატორთა ტიტული; 21. საჭადრაკო ამოცანა; 22. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 23. ქვიშიანი უდაბნო შუა აზიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დუმბაძე; 2. სელი; 3. ჰერცი; 4. არქივი; 6. დინდგელი; 9. რაბათი; 13. სექვოია; 14. „გურიელი“; 15. ბისტრო; 17. განგი; 18. „ჩელსი“; 20. ლეკი.

**თარაზულად:** 1. დესპანი; 5. „შოუდუ“; 7. თემშარა; 8. მოლიერი; 10. თავნი; 11. ცხუმი; 12. კაბელი; 16. ჯუნგლი; 17. „გირჩი“; 19. ქაჯი; 21. უტზონი; 22. ეგრისი; 23. ბორანო; 24. ბიზონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პალანგა; 2. კომუნა; 3. ნობელიუმი; 4. „ცერული“; 5. ჰელსინკი; 7. ქოსა; 11. „სალხინო“; 13. კაჭკაჭი; 15. ჰობოი; 16. მოძმე; 18. ნიკეა; 19. ლინზა.

**თარაზულად:** 6. აფექტი; 8. კოსმოსი; 9. „გურიელი“; 10. ნიუანსი; 12. გაუდი; 14. კიმონო; 17. „მაჭანკალი“; 20. ბაირონი; 21. მონაკო; 22. ეფუზია; 23. ხელბურთი.

# ქართველი მოდელი მილანის მოდის კვირეულზე გამოვიდა



თაკო ნაცვლიშვილის, ანა შელიას, თამთა შედანიას, ელენე მახარაშვილისა და სხვა ქართველი მოდელების შემდეგ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კიდევ ერთი ქართველი მოდელი მოექცა.

15 წლის ანი სულაბერიძემ მონაწილეობა მიიღო მილანის მოდის კვირეულში, სადაც დიზაინერებმა შემოდგომა-ზამთრის 2016 წლის კოლექციები წარმოადგინეს. სამოდელო სააგენტო იმიჯ ცენტრის მოდელმა ორი დიზაინერის კოსტიუმები მოირგო და სპეციალურად მილანის მოდის კვირეულისთვის გამართულ პოდიუმზეც წარმატებით გაიარა.

მილანში ჩასულ ქართველ მოდელს პრადას კასტინგზეც მოუხდა მისვლა, სადაც, სხვა მოდელებთან ერთად, საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩინა.

# სოხუმის თეატრი ირანში მიდის

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი სპექტაკლით „მე – მედეა“ ირანში ფაჯირის 34-ე საერთაშორისო ფესტივალზე მიემგზავრება.

ერთმოქმედებიანი სპექტაკლი, რომლის რეჟისორიც და ინსცენირების ავტორიც სალომე ჯოგლიძეა, ევრიპიდესა და ოვიდიუსის მიხედვით განხორციელდა. წარმოდგენის მხატვარია ქეთი ნადიბაიძე, კომპოზიტორი – მაკა ვირსალაძე, რეჟისორის თანაშემწე – ლეილა მურღულია. სპექტაკლში მონაწილეობენ ლილი ხურითი, ნინო შავგულიძე და მარიამ დოლიძე.

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით საყვარელიძე აცხადებს, სოხუმის თეატრი პირველია, რომელიც ირანში ფესტივალში მონაწილეობისთვის საქართველოდან მიემგზავრება:

– ირანს მოუხსნეს სანქციები! ვულოცავ ჩემს ირანელ მეგობრებს! ეს რეგიონში დიდ ძვრებს გამოიწვევს.




ირანში განუზომელი ეკონომიკური აღმავლობაა მოსალოდნელიო. ორმაგად მიხარია, რომ ასეთ ისტორიულ დროს სოხუმის თეატრი მიემგზავრება გასტროლებზე თეირანში.

მიწვეულია სალომე ჯოგლიძის დადგმა „მე – მედეა“. ირანელებს ძალიან მოეწონათ ეს სპექტაკლი. უკვე 2 წელი შესრულდება, რაც სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ. ეს პერიოდი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დავდგით ბევრი სპექტაკლი, მივიღეთ მონაწილეობა ბევრ ფესტივალში, მოგვანიჭეს ჯილდოები, ავიღეთ პრიზები, გავიჩინეთ ძალიან ბევრი მეგობარი.

მოკლედ, 23 იანვარს მივემგზავრებით თეირანში! სოხუმის თეატრი 25 წელია დევნილობაშია. დევნილების პრობლემები კი, იცით, რაოდენ აქტუალურია. წელს მხოლოდ გერმანიას 1 მილიონი დევნილი მიადგა. თავებს იმტვრევენ მსოფლიო პოლიტიკოსები და საერთაშორისო ორგანიზაციები ამ თემაზე. არავინ იცის, თუ როგორ მოაგვარონ ურთიერთობა ადამიანებს შორის, როგორ უნდა მოხდეს დევნილთა ინტეგრაცია. ჩემი ღრმა რწმენით, თეატრს შეუძლია, პასუხი გასცეს ბევრ საკითხს. თეატრს, ხელოვნებას შეუძლია, ინტუიციურად განჭვრიტოს მომავალი, თუ როგორ და საით წავიდეს კაცობრიობა. დევნილობაში მყოფ ადამიანებს განსხვავებული ხედვა აქვთ პატრიოტიზმის, სიყვარულის, პატიებისა და შემწყნარებლობის... გარდა ჩემი დიდი სიყვარულისა, სწორედ ამ საკითხთა გამოც დავთანხმდი ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტს.

# ნიკუშა შენგელაიას დედაქალაქის პრობლემები აღელვებს

მხატვარ ნიკუშა შენგელაიას დედაქალაქის პრობლემები აწუხებს და იმ დანაშაულებზე საუბრობს, რომლებიც თითოეული თბილისელის თვალწინ განვითარდა. როგორც მხატვარსა და ხელოვანს, მას ძალიან აღელვებს დედაქალაქთან და მის კულტურულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

– ის თემები, რაც ქალაქს შეეხება, ყველა თბილისელის გულის ტკივილია, რადგან ჩვენ აქ ვცხოვრობთ და აქ ცხოვრებას ვაპირებთ.



თუ არ გავაანალიზებთ, რამ მოიტანა ეს პრობლემები, მომავალში ძალიან გაგვიჭირდება. თბილისის სატრანსპორტო განვითარების სქემა ძალიან რთული პრობლემაა. ლანდშაფტურად თბილისი არის მტკვრის ხეობაში განთავსებული, ამიტომ თბილისი კლასიკურად, ევროპული ქვეყნების დონეზე ვერ ვითარდება.

კითხვაზე, მომწონს თუ არ მომწონს წინა ხელისუფლების მიერ აშენებული ძეგლები, ველოსიპედის ძეგლი, შუშის ხიდი და ა.შ. გეტყვით, რომ საშინელებაა. „იმელის“ უკან მაღალსართულიანი შენობა აბსოლუტურად უკარგავს ყველანაირ მასშტაბს ქალაქს. ეს არის დანაშაული ქალაქის მიმართ, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში დაიგეგმა და, როგორც ვიცი, არაბ ჯგუფს მიჰყიდეს ეს ადგილი.

„იმელის“ უკან ამისთვის დაანგრიეს ეს სახლი, რომ მრავალსართულიანი შენობა აეგოთ. ეს არის ჩვენი დანაშაული, იმიტომ, რომ ჩვენს ვუშვებთ ამას.

იგივე შემიძლია ვთქვა შუშის თეატრზე, რომელმაც აბსოლუტურად დაარღვია ძველი თბილისის ყველა ხედი. ასეთი არქიტექტურა, რომელიც აეროპორტების ან ბაზრის შესასვლელს წააგავს, სასურველია, მინდორში აშენდეს. ეს არის ელემენტარული უკულტურობა, მაგრამ მაშინ ვიცოდით, რომ ეს იყო ზოგ-ზოგიერთების აკვიატება, ვისაც სურდა, თავისი სასახლიდან ენახა წარჩინებული გზა.

იუსტიციის სახლისთვის სხვა ადგილი უნდა შერჩეულიყო. ჩვენ სულ ვლაპარაკობთ ეკოლოგიაზე, ხომ? იქ უზარმაზარი რეკრეაციულ ზონა გაანადგურეს. გაანადგურეს „ტენისის“ კორტები. ხომ უნდა იფიქრო, სად აკეთებ? თავის დროზე გამოვდიოდი ამის წინააღმდეგ, მაგრამ ხელისუფლება მაშინ ხალხს არ უსმენდა, – განაცხადა მხატვარმა „პრიორიტეტში“ საუბრისას.

# ქეთევან კიკნაძე ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა შეაწუხა

მსახიობი ქეთევან კიკნაძე ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა შეაწუხა. გიგა ლორთქიფანიძის მეუღლე თავის მოსაზრებას საჯაროდ გამოთქვამს და საქართველოსთან მიმართებით მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებს აფასებს. მსახიობს მიაჩნია, რომ საქართველომ ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს და, თუკი საჭირო გახდება, რუსეთს ბაბაიაც დაუძახოს.

**ქეთევან კიკნაძე:**

– ოცი წლის განმავლობაში თითი არავის გაუნძრევია ჩვენი გულისთვის. ყველას გამსაღებლად ვჭირდებით. მაგონდება ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვები – ქართველებო, გაჩერდით, ჩვენ ობოლი ერი ვართო.

ვინმეს თავში თუ მოსვლია აზრად, რომ ნეიტრალური ქვეყანა ვიყოთ, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. ეს ჩემი სიტყვები არ არის. ეს ხომ დიდი ილიას სიტყვებია. მაშინ თავზე ვერავინ დაგვაჯდება, ვერც რუსეთი და ვერც სხვა.

ჩვენი გულისთვის ომს არავინ დაიწყებს, მეტი საქმე არა აქვთ, ჩვენ შეგვაკვდნენ. აბა ევროკავშირი, აბა ნატო და მერე რაა? როცა ტერიტორიული მთლიანობა არა გვაქვს, ვერც ნატოში შევალთ და ვერც კატოში. სიმართლე ეს არის. ჩვენ თავზე ვილაც უნდა გვაჯდეს, სხვანაირად არ შეგვიძლია. ბოლოს და ბოლოს, ვთქვი ის, რაც დიდი ხანია გულში მქონდა!

ნუ გამკიცხავს ჩემი ხალხი ჩემი შეხედულებების გამო. მე ვერ დავკარგავ იმ ხალხს, ვისთანაც კონტაქტი მაქვს, ვერც რუსეთში და ვერც ამერიკაში. ლაქ ჯეიმს თაუნის საპატიო მოქალაქე ვარ. ვისთანაც კონტაქტები მაქვს, ისინი პოლიტიკოსები არ არიან. ხელოვნების ხალხია. რუსეთი აგრესორია, ამას ვინ უარყოფს, ავღანეთში რამდენ ხანს იყო გამაგრებული. 1968 წელს ჩეხეთში ხალხი გაწყვიტა, უნგრეთში ხალხს ტანკებით გადაუარა. ბაბაია დავუძახოთო? ხო, დავუძახოთ, დავიმციროთ თავი ჩვენი ქვეყნის გამო. სხვა რა გამოსავალია? ვინმემ მიპასუხოს!



# „იქს ფაქტორი“ ბრუნდება

მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორი“ მესამე სეზონით ბრუნდება. „ნიჭიერის“ დასრულების შემდეგ პროექტების პროდიუსერები გიორგი ხაბურზანია და დემნა ჯაფარიძე საქართველოში ხანგრძლივ და დამღლელ მოგზაურობას იწყებენ და ყველაზე ნიჭიერი და იქს ფაქტორის მქონე შემსრულებლებს ეძებენ.




ინფორმაცია „იქს ფაქტორის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– ერთი ყველაზე რეიტინგული პროექტი დასრულდა და ჩვენ უკვე გვყავს ნიჭიერი 2016!

ახლა დროა გავიგოთ, ვის აქვს იქს ფაქტორი!

იწყება ის, რასაც ყველაზე მეტად ელოდებოდით, მთავარი მუსიკალური ტელემოვლენა, იქს ფაქტორი – იქს ფაქტორი ბრუნდება!

ჩვენ შემოვივლით საქართველოს, რომ ვიპოვოთ ის, ვინც ახალი აღმოჩენა გახდება!

თქვენ გეძლევათ შანსი, წარდგეთ უამრავი მაყურებლის წინაშე, შეიძინოთ ძალიან ბევრი გულშემატკივარი და გახდეთ 2016 წლის მთავარი იქს ფაქტორი!

ეს არ არის ვოკალური კონკურსი, აქ მთავარი იქს ფაქტორია!

ძალიან მალე გამოცხადდება კასტინგი, სადაც ყველა მსურველს გელოდებით!

იქს ფაქტორის პირველი სეზონი თორნიკე ყიფიანმა მოიგო, მეორე სეზონის გამარჯვებული კი გიორგი ნაკაშიძე გახდა. ვინ გახდება პროექტის მესამე სეზონის ფავორიტი და რომელი მწვრთნელი მოახერხებს თავისი კონკურსანტისთვის იქს ფაქტორის მოგებას, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

# თიკა ჯამბურია საავადმყოფოში მოათავსეს



მომღერალი თიკა ჯამბურია საავადმყოფოში მოათავსეს. ინფორმაცია თიკამ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და ამის ამსახველი ფოტომასალაც გამოაქვეყნა.

თიკას საავადმყოფოში გადაყვანა მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც მომღერალს ბატონები შეხვდა, გაურთულდა და ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუუარესდა.

– სახლში მინდა! – დაწერა მომღერალმა სოციალურ ქსელში და მოთხოვნის პასუხად მეგობრების გამხნევება და ბევრი თბილი კომენტარიც მიიღო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრისა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ ელენე ხარაბაძეს მეუღლის

**ჯემალ ღონღაძის**

გარდაცვალების გამო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელს, პროფესორ ელენე ხარაბაძეს გარდაეცვალა მეუღლე

**ჯემალ ღონღაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ბატონ როსტომ შამუგიას ძმის

**დაზმირ შამუგიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 22 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფოტოგრაფები" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "წიგნის თარო" 14.30 ან./ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 "კომუნიკატორი" 21.45 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 00.10 მხ/ფ "**ტურის დღე**" 02.30 მხ/ფ "**ამერიკული ნამცხვარი-2**"

08.00, 10.10, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 11.50 წყალბურთი – ევრო-2016 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 10.05 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი** 11.20 სერ. "**კონტრაქტის პირობები**" 7 სერ. 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "**ნათლია**" (ჯ.კაანი) 1 ნაწ. 02.30 მხ/ფ "**ანგარიში**" (ე.ნორტონი) 04.30 მხ/ფ "**ქალღმერთის ამბავი**"

06.00, 19.55 სერ. "**აღთქმა**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 22.50 ქერის უბანი 23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 42 (სეზ.8) 23.30 სერ. "**სიცრუის თეორია**" ს5 (სეზ.3) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS 08.30, 19.00 საინფორმაციო გამოშვება მსოფლიო ამბები. (გამეორება) 09.00 ან/სერ. ავატარი. ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი 10.00, 19.30 სერ. "**ჯონათან. სტრეინჯი და მისტერ ნორელი**" 11.00 ჯიდიპედია 11.30 შუადღე 14.00, 18.00 სერ. "**ახალი გოგო**". 14.30, 18.30 სერ.. "**ცენტრი**" 15.00 ან/სერ. ავატარი. ლეგენდა აანგის შესახებ 16.00 Discovery ამერიკა. ფაქტები და გამონაგონი 17.00 აირჩიე კაბა 17.30 საქორწილო გარდასახვა 20.30 20.30 22.00 მხ/ფ "**ჯენიფერის სხეული**" 00.35, 02.20 URBAN STORIES 01.30, 03.15 ჯიდიპედია 03.45 შუადღე (გამეორება) 07.00 20.30 (გამეორება)

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 წმ. ცხოვრება-აბო თბილელი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30"განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე-ფუტკრის დინდგელი 11.25 მოკ. მხ/ფ "**მეზობლები**" 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 მსოფლიო ხალხთა ზღაპრები-რატომ ამოდის მზე მამლის ყივილზე 15.40 დ/ფ 16.35 მიწათმოქმედი "საჩითილე ქოთნები" 17.00 მოკ. მხ/ფ "**რეკორდი**" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სიმღერის კვალდაკვალ "მხედრები" 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები "ახალი წელი, ჩემი ზამთარი" 21.40 მოკ. მხ/ფ "**ბაკურხევეელი ხევსური**" 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა შუამთისა" II ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები "წმ. ნიკოლოზის ტაძარი –ნარიყალა" 00.35 დ/ფ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუზეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 16.05, 17.05, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**ეკატერინა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 იანვრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4317

ევრო — 2.6583

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4474

100 რუსული რუბლი — 3.0446

**ამინდის პროგნოზი 22 იანვრისთვის**






## კალეიდოსკოპი

## ბრიტანული კონტრდაზვერვა გეების საუკეთესო დამსაქმებელია



დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახური გეების მიმართ ყველაზე მეგობრულად განწყობილი დაწესებულებაა გაერთიანებულ სამეფოში. ასეთი დასკვნა წარმოადგინა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ, რომელიც ლგბტ საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების დაცვითაა დაკავებული და ამ საკითხზე საგანგებო გამოკითხვა ჩაატარა.

კონტრდაზვერვის სამსახურის გენერალურ დირექტორ ენდრიუ პარკერის თქმით, დაწესებულებისთვის „მრავალფეროვნება ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანია“.

– ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მართლაც წარმოვადგენთ საზოგადოებებს, რომელთა კეთილდღეობაზეც გვიწევს ზრუნვა, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ ვიყენებთ ნიჭიერი ადამიანების უნარ-ჩვევებს, იმის მიუხედავად, თუ საზოგადოების რომელ ფენას წარმოადგენენ, – განაცხადა ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელმა.

რეიტინგში მეორე ადგილზე აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის უმსხვილესი ბანკი, მესამე ადგილი კი უელსის ეროვნულმა ასამბლეამ დაიკავა – საკანონმდებლო ორგანომ, რომელიც კანონების მიღების უფლებით სარგებლობს.

გამოკითხვაში 400 ორგანიზაციის 60 ათასმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

## ყველაზე სექსუალურ ექიმს საკუთარი თავი აუქციონზე გააქვს




ნიუჯერსელი მიხეილ ვარშავსკი, რომელიც ჟურნალმა ფიფლმა მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ექიმად აღიარა, მონაწილეობას მიიღებს საქველმოქმედო აუქციონში, რომელშიც გამარჯვება პაემანი გახდება. ღონისძიების პარტნიორია გაცნობის ამერიკული პორტალი.

– მე სერიოზულ ურთიერთობას ვეძებ, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, სახელის მოხვეჭამ პარტნიორის მოძებნა სულაც არ გამიადვილა, – დაიჩივლა 26 წლის ექიმმა.

აუქციონიდან შემოსული თანხები იმ საქველმოქმედო ფონდში ჩაირიცხება, რომელიც სტუდენტებისა და მოსწავლეების ფინანსური დახმარებისთვისაა შექმნილი. მისი ორგანიზატორი ექიმი ვარშავსკია.

– ძალიან გამიმართლა, რომ ინიციატივამ მხარდაჭერა მოიპოვა სოციალურ ქსელებში. უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე და გადავწყვიტე, მთელი ყურადღება ქველმოქმედებაზე გადამეტანა, – განაცხადა სექსუალურმა ექიმმა.

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია შემოწირულობის გაღება. ამ მომენტისთვის 40 ათას დოლარზე მეტია შეგროვებული.

## მოტყუებულმა ქმარმა ცოლი აიძულა, ქუჩაში შიშველს ევლო

ნიუ იორკში მამაკაცმა მას შემდეგ, რაც ეჭვი შეიტანა იმაში, რომ მისმა მეუღლემ საკუთარი ინტიმური ფოტოსურათები სოციალური ქსელების მამაკაც მომხმარებლებს გაუგზავნა, ქალი აიძულა, შიშველს ევლო ქალაქის ქუჩებში. წყვილის ვინაობა უცნობია.

ვიდეოჩანაწერში, რომელიც მოტყუებულმა ქმარმა გადაიღო და ვებგვერდზე განათავსა, ჩანს, რომ ქალი თავდაპირველად ქუჩაში სხეულზე პირსახოცშემოხვეული მიდის, შემდეგ კი ვიდეორგოლის ავტორმა მას პირსახოცი ჩამოგლიჯა სიტყვებით: „მოიხსენი ეს, ყველამ უნდა ნახოს შენი შერცხვენა“. შიშველი ქალი ცდილობდა, ქუჩაში გაჩერებულ მანქანებს ამოჰფარებოდა, ხოლო ინტიმურ ადგილებს ხელებით იფარავდა.



ამ ვიდეორგოლმა 270 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა. კომენტარებში ინტერნეტ-მომხმარებლების უმრავლესობა მამაკაცის საქციელს სასტიკსა და უაზროს უწოდებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ზაზა ფაჩულია ოლ სტარში ვერ მოხვდა

ზაზა ფაჩულიას დალას მავერიკსმა მინესოტას უმასპინძლა და დამატებით დროში 106:94 დაამარცხა.




დალასელთათვის ეს გამოდგა ზედიზედ მე-4 საშინაო ოვერტაიმი, რომელთაგან ფაჩულიას გუნდმა საკრამენტოს, ბოსტონსა და მინესოტას მოუგო, კლივლენდთან კი დამარცხდა.

მატჩის ბოლო ქულები საჯარიმოს ხაზიდან ზაზა ფაჩულიამ ჩააგდო, რომელსაც გამარჯვებაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის. დამატებით დროში ზაზა უფრო დაცვაში ირჯებოდა და მინესოტელთა ახალგაზრდა ლიდერის, ახალბედა კარლ-ენტონი თოუნსის შეჩერება შეძლო, რომელიც ძირითად დროში მინესოტელთა მთავარი შემტევი იარაღი გახლდათ და საბოლოოდ 27 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება და 3 პასი მიითვალა.

დალასელთა ბომბარდირი ჩენდლერ პერსონსი გახლდათ, რომელმაც 30 ქულა დააგროვა. არ უთამაშია დირკ ნოვიცკის, რომლის მაგივრად სასტარტო ხუთეულში ჩარლი ვილანუევამ ითამაშა და 14 ქულა დააგროვა.

ზაზა ფაჩულიამ მოედანზე 34 წუთი გაატარა და თავი 12 ქულას, 4 მოხსნას, 3 ჩაჭრას და 1 პასს მოუყარა. ზაზამ 7-დან 4 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

დალასი 25 მოგებითა და 19 მარცხით დასავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზეა. მორიგ მატჩში ფაჩულიას გუნდი ოკლაჰომა სანდერსს უმასპინძლებს.

აქვე გეტყვით, რომ ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩის გამოკითხვის შედეგები ჯერ არ გამოცხადებულა, მაგრამ რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომ უკვე გაავრცელა ცნობები სასტარტო ხუთეულების შესახებ.

ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ზაზა ფაჩულიას ხმების რაოდენობა არ ეყო.

დასავლეთი: სტეფ კარი, რასელ უესტბრუკი, კობი ბრაიანტი, კევინ დურანტი, დრეიმონდ გრინი.

აღმოსავლეთი: დუეინ უეიდი, კაირი ირვინგი, ლებრონ ჯეიმსი, პოლ ჯორჯი, კარმელო ენტონი.

შეგახსენებთ, რომ ყველა ვარსკვლავის მატჩი ტორონტოში 14 თებერვალს გაიმართება. გამოკითხვის უკანასკნელი შუალედური შედეგების გამოცხადების შემდეგ დალას მავერიკსის ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია 299.584 ხმით დასავლეთ კონფერენციის წინახაზელებში მე-8 პოზიციაზე იყო.

# დავითგარეჯი მაიკროსოფტის საძიებო სისტემაში მოხვდა

საქართველოს ღირსშესანიშნაობებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი კორპორაცია მაიკროსოფტის საძიებო სისტემა ბინგის მთავარ გვერდზე მოხვდა. ბინგში შესვლისას ნებისმიერ მომხმარებელს მთელი მსოფლიოდან ფონად დახვდება დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ფოტო წარწერით, რომელზეც მითითებულია, რომ დავითგარეჯი საქართველოში, კახეთში მდებარეობს და ფოტოს ავტორი ვიქტორ ბუბნიაკია.




ბინგის მთავარი გვერდის ფონური ფოტო ყოველდღიურად იცვლება და მასზე წარმოდგენილია მსოფლიოს საუკეთესო ფოტოგრაფების საუკეთესო ნამუშევრები.

მაიკროსოფტმა ბინგი 2009 წელს გაუშვა და იგი დღეისათვის მსოფლიოში მეორე ყველაზე პოპულარული საძიებო სისტემაა გუგლის შემდეგ. განსაკუთრებული პოპულარობით ბინგი ამერიკაში სარგებლობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



## იუმორი

მამაკაცი ქალსეუბნება:

– დღეს საერთოდ ვერ გცნობ!

– ასე კარგად გამოვიყურები?

– არა, საერთოდ, ვინ ხარ?

●●●

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ შენ სიგარეტს ეწევი.

– დედა, მე კი არა, მგონი, შენ ეწევი, რახან უკვე ჩიტებს ესაუბრები!

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, გველები როგორ ლაპარაკობენ?

კაცმა სიდედრს გადახედა და ეუბნება:

– რას გაჩუმებულხარ? ხედავ, ბავშვს აინტერესებს და უპასუხე!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ?

– ტანკივით.

– ეგ როგორ?

– ქვემეხი შემართულია, მაგრამ მიზანი არ არსებობს.

●●●

ერთი ძველი ჯიბგირი მეორეს შესჩივის:

– ეს რა დრო მოვიდა. სულ წავიდა ხელიდან ეს ახალგაზრდობა.

– რა მოხდა?

– გუშინ ერთ ახალგაზრდას ჩავუძვერი ჯიბეში და სანამ იქ მოსაპარს ვეძებდი, თითიდან ბეჭედი ამაცალა.

●●●

ლექციაზე დაგვიანებულ სტუდენტს პროფესორი ეუბნება:

– ისევ დაიგვიანე ლექციაზე!

– მაპატიეთ, ბატონო პროფესორო, დამეძინა.

– რა, სახლშიც გძინავს?

●●●

ექიმი ოპერაციის შემდეგ ნარკოზიდან გამოსულ პაციენტს ეუბნება:

– ოპერაცია კარგად გადაიტანეთ, ოპერაციამდე კი ძალიან ცუდად იქცეოდით, ხელ-ფეხს იქნევდით, ყვიროდით... მაგრამ ის თქვენი ნაცნობი, თქვენ გვერდით რომ იწვა, კიდევ უფრო უარესად იქცეოდა!

– აბა, რა იქნებოდა, ჩვენ ხომ აქ ფანჯრების გასაწმენდად გამოგვგზავნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა




**შვეულად**: 1. ქალაქი ფინეთში; 2. ყურანის თითოეული თავი; 3. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. უარყოფითად დამუხტული იონი; 6. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 9. დარიშხანის საბადო რაჭაში; 13. თვითმავალი, მექანიკური სარკინიგზო ურიკა; 14. კუთხე საქართველოში; 15. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 17. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. სერბი ფიზიკოსი, გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 20. ტბა თბილისში.

**თარაზულად**: 1. მევენახეობის, მეღვინეობის ოლქი იტალიაში; 5. ლეო დელიბის ოპერა; 7. გადასახადისგან გათავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 8. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 10. სპირტიანი სასმელი; 11. იაპონური აბანო; 12. ღვინისა და დროსტარების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 16. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 17. ოქრო-ვერცხლით მოკაზმული ცხენის აღვირი; 19. რძის პროდუქტი; 21. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 22. ღვარძლიანი, შურიანი ადამიანის ძველებური სახელწოდება; 23. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 24. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*